

1941



# ՅՈՒԹԵԱԾՈ


ՀԱՅԱՍՏԱՆԻ  
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ



ՀՅԱԼՈՅՈՒ N 4  
1 9 4 1

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ  
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

196020



196020



1920 წლის 5 აპრილს იაპონელმა ინტერვენტებმა ტყვედ ჩაიგდეს შემცირებული აღმოსავლეთის პარტიზანთა ლეგინდარული ბელადი, საუცხოო ბოლშევიკი ს ერგე ლაზო და გაუგონარი ფერაგობით მოქლეს: ცოცხალი ჩაიგდეს და დაწევს ორთქლმავლის ცეცხლში.

1917 წლის 16 აპრილს, ხანგრძლივი განდევნილობის შემდეგ, რუსეთში დაბრუნდა ლენინი.

ლენინი პეტროვგრადში ჩამოიდა პ აპრილს (დ. სტ) დამით. ფინეთის გაგზაულზე და გაგზლის მოედანზე ლენინის შესაჩერებრად თავი მოიყარეს ათასობით შუშებმა, ჯარისკაცებმა და მეზღვაურებმა. მათ ხელში აიტაცეს ლენინი და ასე შემოიყენეს თავისი ბელადი გაგზლის დიდ დარბაზში, სადაც მენ-



3ლადივენ 3ლადივენის-ძვ მაიაპოლისი ცოცხალი აღარ არის (გარდაიცვალა 1930 წლის 14 აპრილს), მაგრამ მისი ლექსები ჩვენთან ერთად ცოცხლობენ, მაგრაც სკოლი უოფლი სიცუვა — ეს არის დიდი, ჭიდავი, მხიარული და სასტიკი მეცნიერის სიცუვა.


1917 წლის ოქტომბერში წითელარმი-ლენინი და მეზღვაურები მაიაპოლის ლექსების მდერით მიღიოდნენ ზამთრის სასახლის ასალებად. მისი სახელგანთქმული „მარცხენა მარშით“ მიღიოდნენ ფრონტზე კომკაციონები.

შევიცებმა ჩეხიძემ და სკობელევმა ის-ის იუო დაიწყეს „მისასალმებელი“ სიცუვების წარმოთქმა, მაგრამ ლენინმა მათ არ მოუსმინა, ჩაუარა და გაემართა მუშათა და ჯარისკაცთა მახებისაკენ და ჯავშნიანი აგრომობილიდან წარმოთქვა თავისი ცნობილი სიცუვა, რომელშიც მოუწოდებდა მახებს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლისაკენ.

ძოსტა ხეთაგურო სრულიად საშაროლიანად ითვლება ოსური ლიტერატურის ფუძე-მდებლად. ოსი ხალხის ეს სახელოვანი ადამიანი, როგორც მოეტი და მოქალაქე, დაფასების ობიექტად გახდა მთოლოდ საპჭოთა ხელისუფლების პირობებში. (დაიბადა 1859 წ., გარდაიცვალა 1906 წელს).

ზიზლი და სიძულვილი შჩაგვრელი კლასის მიმართ, თანაგრძნობა და ბრძოლისაკენ მოწოდება ჩაგრული ხალხისა, — აი რა იუო ხეთაგუროების მოქინის დედაბაზრი.

1564 წ. 23 აპ-  
რილს დაიბადა  
გენიალური ინგ-  
ლისელი დრამა-  
ტურგი ვილიამ  
შექსპირი. გა-  
რდაიცვალა 1616  
წელს.



— ... მუდამ თბალის ედგით დიჭი  
ლენინის ღიაღი სახე და ჟელაზერში  
ჰერავდენ ლენინს“.

୬୩୧ ଲୁଗ୍ରାମ  
ଶକ୍ତିପାତ୍ରିତା

# საკანონო ნაკითხებზე

(ნაწყვეტი 6. ვერეტენიკოვის წიგნიდან „ვალოდია ულიანოვი“) \*

გალოდია ჩემთან შედარებით გა-  
ცილებით უფრო უკეთ მცილნე აღ-  
მოჩნდა ლიტერატურისა, მიზედავად  
იმისა, რომ მე ბავშვობაში, როდესაც  
რაიმე მძიმე ავალმყოფობას ვიზიდი  
ხოლმე, მიეკითხავლნენ რწევთისა და  
უცხოეთის მწერლებს, თვითონაც არ  
ვკითხულობდი ცოტას და ბევრად  
უკეთ ვიყავი გაცნობილი კლასიკურ  
ლიტერატურას, ვიდრე უმრავლესობა  
ჩემი ტოლებისა.

ვალოდიას ძალიან უყვარდა გამო-  
კითხვა წაკითხულზე:

— ეს წაიკითხე?

— ၁၄၃၁

— १६?

ბოლოს მდეზრდება სულ პასუხი „არა“ და „არა“, ვეობნები „ხო“.

— ტურგენევის „კვამლი“ წაი-  
კითხე?


— 6m...

მაგრამ ვალოდიას ნათლად ესმის  
ტყუილი და ამიტომ მაძლევს მზაკ-  
ვრულ შეკითხვას:

— აბა, მოთხრობა „ლიტვინოვი“  
თუ წაგიცითხავს?

მე თავდაჭრილად ვერიდები მე-  
ორე სიცრუეს:

— არა, არ წამიკითხავს.  
— ჰოლა აი იცრუე, „კვამლი“ წავიკითხეო! რომ წაგვითხა, გრძლივინგლოდა, რომ



ლიტერატურული რომან „კვამლის“ გმირია. არა-  
ვითარი შოთხრობა „ლიტერატურულის“ ტურგე-  
ნიას არ დაწერდა.

აქამდე მახსოვეს, რა რიგად შემრცხევა—  
იმდენად არა იმიტომ, რომ ნაკლებად ვიყავი  
ნაკითხი, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ  
ვაკრუე და ასე სწრაფად და მოხერხებულად  
დამიჭირეს ტყუილში.

\* 6. ვერატენიკოვი ვ. ი. ლენინის ახლო ნათესავია.

მაგრამ შემდგომ ვალოდიას არასოდეს აღარ გაუხსნებია ეს ბაასი და არც არავის-თვის უამბნია ამაზე.

ეს შემთხვევა გვიხატავს ვალოდიას არა მარტო მოსაზრებულობასა და ჰქუამახვილობას, არამედ ნათელყოფს ხასიათის უფრო ძვირფას მხარეებს: არა მოჩენებითს, არამედ წრფელს, ნამდვილ თავაზიანობასა და ტაქტიკურობას, მხრუნველსა და ყურადღებიან დამოკიდებულებას აღამიანისადმი. სხვას რომელს შეეძლო თავის შეკავება, რომ არ გამოვიჯვრებინე ან ასე თუ ისე არ მოეგონებინა ჩემთვის ჩემი გაწმილება?

ხანი რომ გავიდა, ვალოდია მეუბნებოდა: — მე განსაკუთრებით ვაფასებ ლიტერატურულ ტიპებს, რომლებსაც მტკიცე და უდრევი ხასიათი აქვთ.

როგორლაც მან ყურადღება მიმაქცევინა ტურგენევის მოთხრობაზე — „საათი“, რომელიც მაშინ არ მქონდა გაცნობილი. ეს მოთხრობა რომ წავიკითხე, მივხედი, ვალოდიას უნდა მოსწონებოდა მოთხრობის გმირი დავითი, უნდა მოსწონებოდა სწორედ მისი ხასიათის გამო.

როცა, — მეონი, მეორე ზაფხულს, — ვეითხე ვალოდიას, ამიტომ ხომ არ მოგწონს მეთქი ეს მოთხრობა, მან დამიღასტურა და თქვა: ასეთი ადამიანები, როგორც დავითი, ყველაფერს მიაღწევენ, რისკენაც მიისწრაფიანო.

მთელ თავის სიმკირცელესთან ერთად, ვალოდიას განსაკვიფრებელი წესიერება ახასიათებდა. მე არასოდეს არ მინახავს მისი წიგნები მიყრილ-მოყრილი ან დაუურცლული. რაც უფრო იზრდებოდა ვალოდია, მით უფრო მკაფიოდ მეღლაგნდებოდა მისი წესიერება. მარია ილიას ასული გვიამბობდა, რომ როგორლაც, ვლადიმერ ილიას-ძესთან მეცადინეობისას, ვალოდიას მისცა სახელდახელოდ შავი ძაფებით შეკერილი რვეული. ვალოდიამ თქვა ეს არ ვარგაო და ხელახლა შეკერა რვეული თეთრი ძაფით.

მისცამოდა მთლიანად საქმეს, კითხვას ან თუნდაც გართობას, — ეს იყო ვალოდიას დამახასიათებელი თვისება.

შეც და დანარჩენ ჩემ ტოლებსაც ხანდახან მოწყენილობა შეგვიძყრობდა, არ ვიცოდით, საღ წავსულიყავით, რით გაგვეტარებინა დრო. ვალოდიას კი ვერასოდეს ვერ შეამჩნევდით ასეთ განწყობილებას, ის ყოველთვის რაიმეთი იყო გატაცებული. მასთან ყოფილისას ჩვენ არასოდეს არ ვგრძნობდით სიცარიელეს. მისი მოუსვენარი ბუნება არ იძლეოდა ამის საშუალებას. ის გვაფხიზლებდა, და ჩვენც მას ავყვებოდით ხოლმე.



# ქ ე ლ ც ხ ლ ი ს ჲ უ ღ ე რ ე ლ დ ა დ ი ს

## ს ა ხ ლ შ ი ნ

### ს ა ღ ა რ ი ჲ ღ ვ ე ბ ი

ბრწყინავს ირგვლივ კარმიდამო  
შუქდაყრილი სახლის ჭერით,  
ეზოს რთავენ ყვავილები:  
ზოგან წითელ, ზოგან ჭრელი.

შემოსულა გაზაფხული  
ზურმუხტოვან მწვანე ფარჩით  
და მერცხლებიც მოჭიკჭიკე  
ნავარდობენ ფრთების გაშლით.

ნავარდობენ, ცას შესტრფიან,  
აქ მონახეს მათაც კუთხე,  
გარჯითა და უღურტულითა  
გააკეთეს კოხტა ბუდე.


ბრწყინავს სახლი, ბრწყინავს ეზო,  
ნიირფერად მოქარგული,  
და მერცხლებიც ახალ ბინას  
დაპხარიან მშობლის გულით.


კვლავ ბარტყებიც დაიწყებენ  
ამ ბუდიდან გაღმოფრენას,  
იხარონ და იჭიკჭიკონ,  
ცხრა მთას იქით გაჰყვეთ ლხენა,

რომ ამ ჭერქვეშ გაიზარდა  
კაცი ბრძენი, ქართვლის შვილი,  
ამ ეზოში ნავარდობდა  
ჩვენი სოსო ჯულაშვილი!

ნავარდობდა, მზეს შესტრფოდა  
ქვეყნის მზე და ქვეყნის ოვალი,  
მასთან ერთად დღის სინათლეს  
შეპხაროდა მთა და ბარი;

შეპხაროდა გაზაფხულის  
ზურმუხტოვან მწვანე ფარჩას,  
ნათელს პფენდა განთიადი  
და მერცხლების ფრთების გაშლა.





## მ 8 3 3 1 6 0

გაზაფხულით აგზნებულა,  
მოაგორებს მღვრიუ ტალღებს,  
გაუქაცური ხმებით ავსებს  
გალვიძებულ ქართლის ბალებს.  
იბობოქერებს, არ დაცრება,  
მხარგაშლილი მარდად ივრის...  
ჰქოცნის გორის ნათელ მიწას,  
მადლიერი ჰქოცნის თბილის!  
საალერსოდ შხეფებს აყრის  
ყვავილოვან, ორთაჭალას

მიშხუის და მიიჩქარის,  
ემატება გზაში ძალა.  
მზის ლიმილით მოხიბლული  
არ ნახდება, თვალს არ ნაბავს,  
მიდის ქვევით და უყვება  
არემარეს ქართლის ამბავს.  
არლევეს გზაში ქვების ღუმილს,  
სპობს ტალღებით ყველა გუბეს,  
ლალობს მტკვარი, როგორც ჩვენი  
ცხოვრება და სიჭაბუკე.


## II. მ გ ი მ ა შ ვ ი ლ ი

### 130803 ისაავიანს

შენ როცა მოხველ, ჯერ კიდევ  
ირგვლივ საკვდავად ბნელოდა  
ცეცხლს ნაპერწკალი არ ჰქონდა,  
სისხლით ირწყოდა მდელო და  
შენი ლექსების განთიადს  
შენი სამშობლო ელოდა!  
ჰგოდებლი: „ეი, ჩიტებო,  
დაბადებულნო თავადად,  
ჩემი დარდი რომ თქვენ გქონდეთ, —  
რად კვენსით სულ ერთთავადა, —  
მერწმუნეთ, ნაცრისფერ ბუმბულს  
შეიღებავდით შაგად!“  
მოხველ და ისევ ამღერდი,  
გაგვახალისე, გვახარე,  
როცა იხილე, მოხუცო,  
აყვავებული ეს მხარე,  
მანთაშის ტკბილი ნიავი  
ლექსებად გადმოგვაყარე.

შენი სახელი აქ, ჩვენთან,  
სწორედ ისევე ხმოვანებს,  
როგორც უდრიოდ წასული  
ჩვენი ძვირფასი ოვანეს,  
თქვენ ხმა ჩაუდგით მშრომელ ხალხს  
და მუხებს ათასწლოვანებს.  
შენ არ დასჭკნები, რადგანაც  
მუდამ ჰალალ გზით ვიდოდი,  
იცოდი ღრმა სიყვრული  
და სიძულვილიც იცოდი.  
წყალში იდექი ყელთამდი,  
მაინც სიმღერით იწოდი.  
სომხეთის ლექსის ხანძარო,  
ანათებ, ალარ გვიქრები;  
ალსრულდა შენი ოცნება,  
შენი ანკარა ფიქრები,  
როგორც ემბლემა ძმობისა,  
მუდამ ჩვენს შორის იქნები.

<sup>1</sup> წაჟითხულია ხელოვნების სასახლეში 1941 წ.  
10 თებერვალს ავ. ისაავიანისადმი მიძღვნილ საღამოზე.



# ცუკა ცუკა

მანანა საზიური

ცუკა ზარქუა წალენჯიხის საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეა. ის კარგად სწავლობს, აქტიური პიონერიც არის თავის რაზმში, მაგრამ მისი სახელი განა მხოლოდ ამიტომ არის ცნობილი წალენჯიხის რაიონში? არა, ამის მიზეზი უფრო სხვა რამაა.

ამ ბიჭუნამ სამი წლის წინათ, როცა მათმა ცხენმა კვიცი მოიგო, მამას სთხოვა კვიცი მისთვის ეჩუქებინა შემდეგი პირობით: რომ ის მას თვალის ჩინივით მოუკლიდა. მამამ თხოვნა შეუსრულა, და ცუკაც პირნათლად შეუდგა თავისი დაპირების შესრულებას.

კვიცს, რომელსაც ლია ნაკრისფერი ბეჭვი ჰქონდა და ჭიქიანი თვალები, ცუკამ კუკულა დაარქვა. მისთვის თავლაში განსაკუთრებული აღგილი გამონახა, თვითონვე გაასუფ-თავა ეს აღგილი და კვიცი იქ მოათავსა.

ცუკამ კარგად იცოდა, რომ მან მეტად დიდი და საპასუხისმგებლო საქმე იკისრა, დიდ საქმეს კი დიდი და კვირვება ესაჭიროება: უფროსების, განსა უთრებით საქმის მცოდნე უფროსების, რჩევა-დარიგება აუცილებლად სცნო და შეფობის მეორე დღესვე, გაკვეთილების შემდეგ, მიწვანში შეირბინა. იქ უმბბო, რაც გადაწყვიტა, და მორცხვად განაცხადა:

—არაფერი არ მეზარება, ოლონდ ჩემი ქუკულა კარგი მინდა გამოვზარდო, დამეხმარეთ, გთხოვთ!

მუდმივი დახმარება აღუთქვეს და პირველი რჩევა-დარიგებაც მისცეს.

—ზამთარში თივა და სიმინდი აჭამე, ზაფხულზე კი გვანდრას გორაკზე წიყვანე ხოლმე. დაისიმე: დღე-ღამეში თოხვერ უნდა ჰქვებო, —ეუბნებოდა ზოოტექნიკი ცუკას, რომელიც ანთებული თვალებით, ყურადღებით უსტრნდა მას.

—თუ კვიცს ავალმყოფობა შემაჩინიო, მაშინვე შემატყობინე, მოგხედავ, გუმჯურნალებ და მოვარჩენ. თორემ მოუვლელობით ხშირად სულ უმნიშვნელო ავალმყოფობაც კი საკმარისი ხდება, რომ კვიცი დაიღუპოს. აბა, შენ იცი, —თავის მხრივ გამოელაპარაკა ვეტექიმიც.

—ვთქვათ, ღამით, წვიმიანსა და უსიამოვნო ამინდში შეამჩნიე, რომ შენი კუკულა უქეიფოდ არის, როგორ მოიქცევა? —გამოცდით შეეკითხა კვლავ ვეტექიმი და ცუკას თაფლისფერ ხალისიან თვალებში ჩახედა.

—ღამე და უსიამოვნო ამინდი, გონიათ, შემაშინებს? მე არაფრისა არ მეშინია. როგორ მოვიქცევი და მაშინვე თქვენთან გავჩნდები: სწორედ დღეს ვკითხე ჩემს ამხანაგს, მევიცოდი, რომ საჭონლის ექიმი ხართ და ძალიანაც გიყვარო მათი მეურნალობა, —სწრაფად მიუგო ბიჭუნამ.

ცუკამ უფროსებს კარგი რჩევა-დარიგებისათვის გულთბილი მაღლობა უძღვნა და ორორ კიბეზე ხტომით ჩაირბინა მიწვანის ხის შენობის ასაგალი.

მას შემდეგ სამმა წელიწადმა გაიარა. ცუკას კუკულა გაიზარდა, უფრო გალამაზდა,

ლია ნაცრისფერი ბეწვი გაუშუქდა. ის ახლა კვიცი კი არა, მშვენიერი საჯიროთო ცხენია, და ცუკაც ბევრს დააჭენებს ხოლმე. მშვენივრად გახელნა ამ პატარა მხედარმა თვითნება კუკულა, რომელიც ახლაც იოლად არავის იქარებს სიახლოეს. მხოლოდ თავის ერთგულ პატრონს ვერაფერში ვერ უწევს წინააღმდეგობას. როცა ცუკა მასთან არის და ეფერება, ცხოველის წაბლისფერ თვალებში ალერისანი გამომტყველება ალიბეჭდება ხოლმე.

ან როგორ არ უნდა უყვარდეს პირუტყვს ამგვარი მზრუნველი პატრონი, როგორიც ცუ-

კა! ასე გასინჯეთ, რომ ცხენს ზამთარში საკვები ულეველი ჰქონდა, გასულ წელს ცუკამ მამის ნებართვით ნახევარი ქცევა მიწა დამუშავა, სიმინდი და თივა მოუმარუვა თავის საუკარელ კუკულას.

—ვინ იცის, ეგებ ჩემი კუკულა წითელ არმიას გამოადეს, ჩემზე ადრე წავიდეს ფრონტზე სამშობლოს დასაცავად. ოჭ, მაშინ ჩემს სიხარულს განალა ექნება საზღვარი?! — ოცნებობს ცუკა და კვლავინდებური სიხალი-სითა და ერთგულებით განაგრძობს ცხენის მოვლა-მზრუნველობას.



## თეიშერაზ ჯანელაშვილი

### როგორ არ ეძღვარები!

გაზაფხული მოსულა გაზაფხულის მხარეში, გაზაფხული მოსულა ამ ზღვა სინეტარეში, მოუხატას ფაქიზად მთათა მწვნე ფერდები და ამ სილამაზეში როგორ არ ამღერდები!

მოკრიალე სარკეს ჰეგას ცა სხივით შეკერილი, ვარდს გაშლია ფურცელი, ვით ნესტანის წერილი, მოჩეფეს და მოიმლერის ნაკადული ცერიალი, ქოჩორა ტყემ ყვავილის თვალი ააციალა.

ჩამოურბენს ნიავი, ზღაპარს იტყვის ტყე მალე, ილიმება კეპლუცად ეს თეთრკაბა ტყემალი.

ბუჩქი ჩუმალ ჩურჩელებს ფოთლებგადაბურ-დული, ნიავს ეშაირება გულის მთაფლავ ქლურტულით.

ქორწილი აქვს ბუნებას, აყვავდა და გალალდა, დილის ნამი ჩამოჯვდა ამ ლაქლავა ბალახთან. ფრთხილად მოგურულ ყვავილებს ნაზებს, ნაირნაირებს, ჩიტი გაიჭირებს, თითქოს მეტყვის შაირებს.

გაზაფხული მობრძანდა შზის სხივებით ნაბანი, შეუკერა მთა-ელებს მოქარგული კაბანი, ვარდ-ყვავილით შეამჟო შილიონთა მკერდები და ამ სინეტარეში როგორ არ ამღერდები!



# მცუფქოსის დორისილი

შაჟარ ნავთლულები

მზის სხივმა გამოიტყუა,  
გამოიმლერეს სკიდანა,  
ნუშის ხე დაკოკრილიყო  
და სუნი ეცათ მისეანა.

წახალისა ფუტკრები,  
მნენე და გამრჯელი მწერები,  
მათ იზიდავდნენ მცენარნი  
ყვავილით შენაფერები.

გარს ევლებოდნენ ბზუილით  
ენძელასა და იასა,  
ამტვერებდნენ და ნერგავდნენ  
ყვავილნარს სურნელიანსა.

ჭეო-კაპარჭა ხვეჭავდნენ  
მწერები ხალისიანი,  
ოჯახისათვის ზრუნავდნენ,  
უყვარდათ თავისიანი.

გართული იყვნენ შრომაში,  
მწეც გადიწვერა დასაგალს,  
თუმც მიაღწიეს სკებამდის,  
მაგრამ ვერ ასწვდნენ ასაგალს,


სასვენი ვიწრო დაუხვდათ,  
აფალა ჰქონდა მაღალი,  
ზამთრისგან ძალა მიხდოდათ,  
ფრენითაც იყვნენ ნაღალი,

და დარჩნენ ძირსვე სკების წინ  
მიწაზე გართხობილები,  
სხვადასხვა ყვავილის მტვერით  
დაზურგულ-დატვირთულები.

ტვირთქვეშ ეყარნენ ბედშავნი,  
დახოცილები წამებით,  
ენახე, გულს შემომეყარა  
და მოვიწამლე შხამებით.

შეწუხებულმა ვიფიქრე;  
აღლათ, მიმიძლვის ბრალი მე,  
ვერ მოვუარე წესრიგზე,  
ვერ მოვიხადე ვალი მე...

რთულია მათი ცხოვორება,  
მოითხოვს დაკვირვებასა,  
კარგად მოვლილი მწერიც კი  
მუდამ ასცდება ენებასა.




# შეკვეთის გამოცდა

ბაღს ვესტუმრებით მღერით, ნაჩნარით,  
ყაყაჩოების გვხიბლავს სალამი,  
რა ლამაზია, როცა ბაღნარი  
შეიმოსება დილის ცვარნამით.  
ავედევნებით პეპლებს ფრთაფერადს  
და ქრიამული გვატებობს ჩვენივე,  
გრილი ნიავი ფრთხილად დამერავს,  
ლიმილს კვირტებში გაამშვენივრებს.  
აქ სიხარული როგორ დავთაროთ,  
ან სად დაგშალოთ ლხენა ამდენი,  
როცა გვიზიდავს ხვევნა პატარებს  
ჩვენი იების და ზღვა ვარდების!  
ცა დასციმციმებს ველებს გადაშლილთ.  
მთებს მწვანე ფარჩა გადახურვიათ,  
გაზაფხულია ირგვლივ ბაღნარში  
და ჩვენს გულებშიც გაზაფხულია!

## ბიძინა ლუტიძე


(თბილისი, სტალინის სახელობის  
პირველი სკოლა).



# შეკვეთის გამოცდა

ზამთრის ყინვით დაზაფრული  
გათბა ზეცის კამარა,  
მთაზე მოდგა გაზაფხული  
მწვანე ჩოხის ამარა.  
შემოვიდა და სალამი  
გადმოსძახა მთა და ველს,  
და დღეს, როცა ბაღის ნამის  
ვარსკვლავები ხატავენ,  
როცა მინდვრებს მანქანებმა  
გადუშალეს გულები,  
ჩვენი ქვეყნის მანქანებით  
ჩურჩულებენ ხნულებიც.  
გულით სხივებს დავატარებთ,  
ეს თბილი დღე რამ შობა,  
ცაცხვის გაშლას შევადარე.  
ჩემი ტებილი ბავშვობა.  
განა მე ვარ მარტო ერთი,  
რომ გეტრფოდე ამ მხარეს!  
ვიცი, მზიურ საბჭოთას  
უოველ მშრომელს ახარებს:  
ჩვენი ქვეყნის გაქანება,  
მოსავალი ულევი.  
ველებს რკინის მანქანებმა  
გადუსერეს გულები.

ოთარ გაისურავი  
(თბილისის მე-9 სკოლა).



# ციცვის საჭარი რეგამართევზასიან

(ზღაპარი)

ერთ ყრუ ხევში ცივ ქვასთან იწვა ლეგა ძალლ-  
თევზა. მწვანე ხეებზე მდინარის ნაპირას დახტოდა ციყვი.  
დაინახა ციყვმა თავისი მახვილი თვალებით: ცივ ქვასთან  
წევს გაუნძრევლად ლეგა ძალლთევზა. მიირბინა ციყვმა  
მასთან და უთხრა:



- რატომ წევხარ, ძალლთევზავ, ამ ცივ ქვასთან?
- ძალლთევზამ უპასუხა:
- დავილალე.
- რის გამო დაიღალე?
- იმის გამო, რომ ღმერთი არ მძინებია.
- და რატომ არ გეძინა ღამე? — შეეკითხა ციყვი.
- რა შენი საქმეა? — აღრინდა ძალლთევზა.
- ეჭ, ბრაზიანი ხარ! — უთხრა ციყვმა. — მე მოგაკითხე, შეგიბრალე, შენ კი  
პასუხის გაკემა არ გინდა.
- ერთხანს ღაჩუმდა ძალლთევზა და მერე უთხრა:
- რა მნიშვნელობა აქვს შენს შებრალებას, თუ ჩემ უბედურებას ვერ  
უშევლი!
- შეიძლება გიშველო, — დაიწრიპინა ციყვმა.
- თუ ასეა, მომეშველე, — და გვერდზე გადაბრუნებულმა ძალლთევზამ  
აჩვენა ციყვს გარღვეული მუცელი.
- ციყვმა ერთი დაიყვირა და ჩირგვებში გაიქცა. როცა შიში გაუქრა, ისევ  
ცივ ქვასთან დაბრუნდა.
- ძალლთევზა იწვა ისევ ისე გვერდზე, მაგრამ უკვე არაფერი არ უთქვამს  
ციყვისათვის: ის მკვდარი. იყო
- თევზიყლაპია, რომელიც უსმენდა მთელ ლაპარაკს, დაჯდა ცივ ქვაზე და  
თქვა:
- ციყვო, შენი ბრიყვი ცნობისმოყვარეობით მოუსპე სიცოცხლე ძალლ-  
თევზას: მას ეს ჭრილობა შეუხორცილებოდა, რომ არავის არ შეეწუხებინა.
- შერცხვა ციყვს, არ წარმოუთქამს არცერთი სიტყვა და გაიქცა ტყეში.
- ტყეში ციყვი მოუთხრობდა მეგობრებს ძალლთევზას შესახებ და უმატებდა:
- ის თვითონ არის დამნაშავე! რად უსმენდა სხვას, თუ კი მისგან არ მო-  
ელოდა არავითარ შველას?

თარგმანი რუსულიდან მე-15 სკ. VIII კლ. მოწ. ბორის გვარაბიაშვილი.

ნახატები მოსწავლე ლეილა თაბუკაშვილისა.

# ქართული ფილმი

## კვა ჩაქალიძე

— რამ გაგახარა ასე, მზია?! — ეკითხება დედა შორიახლო მომავალ მზიას, მზია კი მოდის წყაროსავით ანკარა და რუსავით მომღერალი გულით.

— კალთაში რაღა გაქვს, სიხარულო, გაშლები მოგცეს?

— დედიკო, ნახე, ჯერ ნახე! — ეუბნება გახარებული მზია. დედამ მზიას კალთაში ჩახედა და გაიცინა, რადგან ვაშლების მავიგრად სამი კატის კნუტი დაინახა.

— აი, ნახე, ნახე, დედიკო, რა პატარები, რა ლამაზები, რა კარგები არიან! — ალარ ათავებდა მზია პატარა კნუტების ქებას, კნუტები კი ათასნაირად იკრიხებოდნენ კალთაში.

— მზია, შვილო, სამი რად გინდოდა?

— დედიკო! აი ეს ჭრელი ამოვირჩიე, მაგრამ როცა წამოსკელდა დაგაპირე, ამათ თვალები ჩემკენ მოაბრუნეს, კისრები დაიგრძელეს და ისეთი სახით შემომხედეს, თითქოს მეხვეწებოდნენ: ჩვენც წაგვიყვანეო! მეც შემეცოდნენ და წამოვიყვანე.

— პატარები არიან, შვილო! ჯერ უდედოდ ვერ გაძლებენ ეგზინ, წაიყვანე დედასთან და მოიზრდება თუ არა, შენი ფისო მაშინვე წამოიყვანე.

მზია დაეთანხმა დედას. მიიყვანა თუ არა კნუტები ადგილზე, დედა - კატაშ სიხარულით დაიკავლა რა ყველას თათი გადაუსვა. კარგახანს უყურა მზიამ კატების ოჯახს და შინ წამოვიდა.

ამის შემდეგ ხშირად ნახულობდა მზია პატარა კატებს, უკვირდა, როგორ მოძრაობდნენ,

როგორ წოვდნენ ძებუს და ყოველთვის ერთსა და იგივეს გრძნობდა: რომ ის კნუტი, რომელიც თითონ ამიორჩია, ყველაზე ღონიერი, ყველაზე ლამაზი და კარგი იყო.

ერთ დღეს მეტი ვეღარ მოითმინა, დაავლო ფისოს ხელი და უკინ აღარ მოუხედავს, შინ ისე მიიყვანა გულში ჩახუტებული.

აქედან დაიწყო გამუდმებული ზრუნვა და ფუსფუსი: რძესა და ალერს უხვად სთავაზობდა მზია ფისოს, ფისოც ენერგიულად სლაბავდა რძეს.

უცვლელი არაფერია ქვეყანაზე, და აკი არც ფისოს ბედი იყო უცვლელი; ფისოს უბედურება იქიდან დაიწყო, როცა მზია თბილისში წავიდა სასწავლებლად.

დარჩა ფისო უპატრონოდ, ალარავინ ეფერება, ალარავინ ზრუნვას მასზე, ალარავინ ჰყავს გულშემატებივარი.

მზია წავიდა და ფისო თავის ბიძას, თეღოს, დაუტოვა.

თეღო ღამე ბრუნდება შინ და მაშინაც არ უშვებს ფისოს სახლში. აი ახლაც გარეთ შემოდგომის სუსხიანი დღეა, მბათრი ქარი ზუზუნით უბერავს გაშიშვლებულ და გარინდებულ ხებს, გააფთრებული წივის, ბუხრებიდან ამოსულ ბოლს იტაცებს და ნაფლეთებად გლეჯს. ყველა სახლშია შემალული, ყველა ბუხარს ეტანება, მზიას ბიძაც აგიზგიზებულ ბუხართა ზის და ვახშმობს.

საწყალი ფისო, შიმშილითა და სიცივით შეწუხებული, ბუხრის ახლო კუთხეში მორიდებულად მოიკუნტა და ჩაფიქრდა. ფისო ბერიგად შესცეკრის თეღოს ხელის ყოველ მო-

ძრაობას და ამაოდ ელოდება გადმოგდებულ ლუქმას. ბოლოს კნავილი დაიწყო. გაბრაზებულმა თედომ შიხლი ამოპკრა და შორს გადაგდო. ფისოს თვალთ უბნელდება შიმშილით. მართალია, გუშინ ერთი წრუშუნა დაიჭირა, მაგრამ დღეს მთელი დღე ისე გავიდა, რომ ის წყეულები ვეღარ ჩაიგდო თათში, ჰშია, ვეღარ ითმენს, საჭმელი კი ასე ახლოა მასთან. ბევრჯერ დააპირა მიპკაროდა და... აი, მოთმინების ფიალა აიგვი და ჯამში ამოპკრა თათი.

— ო, შე წყეული! — დაიღრიალა თედომ, დასწელა ფისოს და აგიზგიზებულ ბუხარში ისროლა.

ფისოს თვალთ დაუბნელდა, ერთ წუთს ყველაფერი აირია მის თავში, მაგრამ მალე გამოერევა, უკანასკნელი ღრნე მოიკრიფა, წინა თათები მოიშველა და უკან გადმოხტა დამახინჯებული და შეტრუსული...

\* \*

თედო სადღაც აპირებდა წასელას. საგარეო ფეხსაცმელები რომ გამოილო ჩასაცმელად, გაბრაზებულმა წამოიძახა:

— ოა, იმ წყეულ თაგვებს როგორ დაუღრღნიათ ფეხსაცმელები! ახი კია ჩემზე, — დაუმატა ცოტა ხნის შემცევ უფრო გაბრაზებულმა თედომ, — ყოფილიყო ის უბედური კატა, რაზე გავაგდე, თაგვებს მომაშორებდა და მაშინ ხომ ფეხსაცმელებიც გადამირჩებოდა დაღრღნასაო.

\* \*

ერთხელ ფისო გომურიდან გამოძერა და

მზიას სახლის კარებს ჩაუარა, გაუკვირდა, კარი რომ ლია დახვდა, დაღონებული ნელი ნაბიჯით შევიდა შიგ.

დილა იყო. მზია ჯერ არა მოგარიყო, მგზავრობით დაღლილი ისევ ლოგინში იწვა და კედლისაკენ გადაბრუნებული რაღაცას ფიქრობდა. მზიას შემოესმა იატაქზე ნელი, მსუბუქი, მორიდებული ნაბიჯის მაგვარი რაკუნი. რაკუნის ხმა თანდათან უახლოვდება მზიას, ის უსმენს, ჯერ ვერ გამორკვეულა და აი მის ახლოს შეწყდა ეს ხმა.


ელვის სისწრაფით გადმობრუნდა მზია იმ მხარეს, საიდანაც რაკუნი მოესმა, ერთმანეთს შეხვდნენ მეგობრები.

მზიას წინ იდგა გამხმარი და თათებდამანინჯებული ფისო. მზიამ ფისოს თვალებში საყველური და გულისტკენა ამოიკითხა. იყვანა ხელში, მოუალერსა, წინა თათები გაუსინჯა და რბილი თათების მაგივრად ორი წამოწვერილი ძვალი დაინახა.

— ჩემო ფისო, მე მაბრალებ ყველა ამას, მაგრამ განა შენი ბრალი კი არ არის? წასელის დროს სადღაც დაიკარგე, ბევრი გეძახე, გეძებე, მაგრამ ამაოდ: შენ არსად ჩანდი... და წავედი დაღონებული და ჯავრიანი! მაგრამ არ იფიქრო, რომ დაგივიწყო და აქ დაგტოვო, ახლა წინანდეოზე უფრო მიყვარხარ და მეცოდები.

მზიამ ფისოს თათები შეუხვია, გულში ჩაიკრა შზრუნველობით და ათასი საალერსო სიტყვა ჩასჩურჩულა ყურში.





## საბჭოთა კავშირის ქალაქების ისტორიიდან

### ნიკოლოზ ჯაში

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ფინეთს შორის 1940 წლის 12 მარტს ქ. მოსკოვში დადგებული საზაფო ხელ-შეკრულების თანახმად შეიცვალა ფინეთის სამხრეთი და ნაწილობრივ აღმოსავლეთი საზღვრები. მთელი კარელის ყელი, ქალაქ ვიბორგითა და ვიბორგის უბით, საბჭოთა კავშირს შეუქრთდა.

ქალაქი ვიბორგი (ფინურად ვიიპური), ახლა კარელია — ფინეთის მთკავშირე რესპუბლიკის ერთეულთი მნიშვნელოვანი ქალაქი, მდებარეობს კარელის ყელზე, ვიბორგის ყურეში, იმ აღგილას, სადაც ერთვის ცნობილი საიმის არხი.

ვიბორგი კოხტა ნაესაღვურია, კარგად და-ცული ბუნებრივი უბით, რომელიც ფინეთის ყურის განგრევას წარმოადგენს. მცი-რე სიღრმის გამო, ვიბორგის ყურეში დიდი გე-მები ვერ შედიან. ვიბორგის ყურე, ანუ ნაესა-დგური, ღრმადა შექრილი მატერიკში და მრავალი კუნძულითა მოფენილი. კუნძულებს უურასარისა, სონისაარისა და ნახევარკუნ-ძულ მაკერლაკეს შორის, ვიბორგიდან დაახ-ლოებით 10 კილომეტრის დაშორებით, სამხ-რეთ-დასავლეთით მდებარეობს ტრანზონდი.

ვიბორგი შედგება თვით ქალაქისა და გარე-უბნებისაგან, ანუ ე. წ. ფორმტატებისაგან. ეს უკანასკნელი მდებარეობენ ნაწილობრივ

კუნძულს ლინანსარიზე, ნაწილობრივ ყელზე, რომელიც ამ კუნძულს ხიდის მეშვეობით უერთდება. ვიბორგის ფორმტატებია: პენტსარ-ლაკი, ხიეკა, ანინა, რეპოლა, პეტერბურგის ფორმტატი და ვიბორგის ფორმტატი.

ვიბორგი დიდი სატრანსპორტო კვანძია და მეტად ხელსაყრელი მდებარეობა უკავია. ვიბო-რგი მდებარეობს ფინეთის ერთეულთი უდიდესი არხის გამოსასვლელთან (საიმის არხი), რაც ფინეთის ყურეს საიმის ტბასთან აკავშირებს. საიმის არხი აგებულია 1845-58 წლების განმავლობაში. არხი ერთეულთი უდიდესთა-განია, მისი სიგრძე 56 კილომეტრს უდირის, აქედან 26 კილომეტრი გათხოვილია, ხოლო დანარჩენი 30 კილომეტრი ტბებზე გადის. საიმის ტბისა და არხის აუზი უმნიშვნელოვა-ნესი სატყეო — სამრეწველო რაიონია. ვიბორ-გზე მრავალი სარკინისგზო ხაზი გადის. ჩრდი-ლო — აღმოსავლეთით ვიბორგი უერთდება ქა-ლაქ სერდობოლს (ფინურად სორტავალა), რო-მელიც ლადოგის ტბის ნაპირზე მდებარეობს. დასავლეთისაგნ რკინისგზა ვიბორგს ფინეთის სატახტო ქალაქ ხელისინკს უკავშირებს. სამ-ხრეთ — აღმოსავლეთით რკინისგზა ვიბორგი-დან ქ. ტერიოკზე გავლით ლენინგრადს უერთ-დება.


ვიბორგი ფინეთის ხე-ტყის გაზიდვის ძირითადი ცენტრი იყო. ქალაქის მრეწველობა ვიბორგში ნაკლებადაა განვითარებული. ვიბორგშია ხე-ტყის სახერხი ქარხნები, წისქვილები, მექანიკური, ელექტრო-ტექნიკური, ხისდამმუშავებელი ქარხნები, თამბაქოს ფაბრიკა, ქალალდის ფაბრიკა და სხვა საჭარმოები. ვიბორგის რაიონი სოფლის მუშრნეობისა და მერძეობის ცენტრიცაა.

ვიბორგი ძეველთაგანვე ცნობილი იყო სააგარაკო ადგილებით, საბანაო კურორტითა და აგრეთვე ზღვის თბილი აბაზანების მისალები აუზებით. სააგარაკო ადგილად ითვლებოდა პაკრუკა, პაპულა, ხორტანადა, საიმის არხის ახლოს მდებარე ნაწილები: პისტილა, იუსტილა და სხვა.

ვიბორგიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით 2 კილომეტრის დაშორებით, კუნძულზე მდებარეობს საუცხოო პარკი — „მონრეპო“. ონიშნული კუნძულიხალეში ცნობილი იყო „ძეველი ვიბორგის“, სახელწოდებით, რადგან, გადმოცემის თანახმად, ამ ადგილას იქნა თავდაპირველად ქალაქი აგებული. პარკი „მონრეპო“ გაშენებულია მე-18 საუკუნის დასასრულს. პარკში აკებულია ფინური ეპონის მთავარი გმირის ვეინემენინის ძეგლი.

ვიბორგში მრავალი ძეველი ნაგებობაა, რომელთა შორის ყველაზე უფრო აღსანიშნავია ვიბორგის ციხე-სიმაგრე. საიმის არხის გახსნასთან დაკავშირებით გამართული ზეიმის დროს (1856 წ.) სიმაგრე ძლიერ დაზარალდა ხანძრისაგან. გადარჩენილ ნაწილში ტუსალებს ათავსებდნენ. დროთა განვალობაში სიმაგრე არსენალის მოვალეობასც ასრულებდა. ფინელებს სურდათ სიძველეთა ამ ძეგლის შენახვა, მისი რესტავრაცია, მასში მუზეუმის, ბიბლიოთეკის მოწყობა, მაგრამ მეფის რუსეთის მთავრობამ უარი თქვა, ფულადი დახმარების აღმოჩენაზე.

ვიბორგის სახელის ეტიმოლოგის შესახებ არსებობს აზრი, თითქოს მისი სახელწო-



ვიბორგის ძეველი ციხე




დება წარმოშობილია დანური-დან „ვიბორგ“, რაც „წმინდა მთას“ ნიშანს. ქალაქ ვიბორგის წარმოშობა საშუალო საუკუნეებს მიეკუთხება. ვიბორგი მდებარეობს მიჯნაზე, სადაც გაცხოველებული ვაჭრობა წარმოებდა ნოვგოროდელებასა და კარელებს შორის. ის სიძნელეები, რომლებიც კისრად აწვა ნოვგოროდელებს მე-13 საუკუნეში თათართა ურდოების შემოსვისა და ჩაგვრის გამო, საშუალებას არ აძლევდნენ ნოვგოროდელებს გაემტკიცებინათ თავიანთი სამხედრო გავლენა კარელიაზე. მდინარე ვურქსის გზის

ბოლო ლაღოგის ტბილან ფინეთის ყურემდის (ვიბორგთან) ნოვგოროდელების მიერ გამაგრებული არ იყო. ამ გარემოებით სარგებლობდნენ იმ დროს რუსეთის დაუძინებელი მტრები შევედები და ნოვგოროდელების მიერ კარელის გაუმაგრებელ ადგილებს თანდათან იკავებდნენ.

1293 წ. შვეციის მარშალმა ტორკელე კუტ-სონბა ააგო სიმაგრე, რომლის გარშემო შემდგომ ქალაქი ვიბორგი აღმოცენდა. ვიბორგი აგებულ იქნა როგორც დასაყრდენი პუნქტი კარელიაში შვეციის გავლენის გასამტკიცებლად და ფინელების გასაქრისტიანებლად. ასეთი პუნქტი საჭირო იყო მით უფრო, რომ კარელის მცხოვრები მუდმივ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ ნოვგოროდელებთან. მალე ვიბორგი კარელის მთავარ ქალაქად იქცა და არა ერთხელ იქნა ალყაშემორტყმული რუსების მიერ.

იგი 1351 წელს ნოვგოროდელებმა დაწვეს. ვიბორგი დიდი პრივილეგიებით სარგებლობდა 1403 წ., მეფე ერიკ მე-13 დროს, რადგან ის დასაყრდენი პუნქტი იყო რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად, ამიტომ შვედები მის გამაგრებაზე ძლიერ ზრუნავდნენ. 1477 წელს ქალაქს გარს შემოავლეს გალავანი. 1495 წ. რუსების დიდძალმა ლაშქარმა, მხედართმთავრის გასილი შუისკის მეთაურობით, ალყაშემორტყა ქალაქს და სამი თვის განმავ-



კარელია-ფინეთის პავილიონი საკ. სასოფლო-სამუშაოებისათვის.




ლობაში აღყა არ მოხსნილა, მაგრამ ქალაქი რუსებმა ვერ აღიერა. 1706 წ. ვიბორგის ასალებად პეტრე პირველმა გაგზავნა რუსთა ჯარი, მაგრამ ქალაქი კვლავ აუღებელი დარჩა. მაგრამ 1710 წელს 18.000 კაცისაგან შემდგარ რუსების ლაშქარი, აპრაქსინის მეთაურობით, ქალაქმა ვეღარ გაუძლო. ვიბორგი დაეცა... რუსეთს ვიბორგი შეუერთდა 1721 წლის ნიშტატის ზავით. 1790 წ. 22 ივნისიდან 3 ივნისამდის ვიბორგის ყურეში წარმოებდა ე. წ. ვიბორგის საზღვაო შეტაკება შეცირის მეცე გუსტავ მესამისა და რუსეთის ფლოტს შორის. 1809 წ. ფრიდრიხისგამის ზავის თანახმად მთელი ფინეთი რუსეთის მფლობელობაში გადადის და ქალაქი ვიბორგი ფინლანდიის „დიად სამთავროს“ გამგებლობაში შედის 1812 წელს, ხოლო 1918 წლის 12 მაისიდან 1940 წლის 21 მარტიმდის ქალაქი ვიბორგი ფინეთის ბურუჟიული არსებლივის ქალაქს წარმოადგენდა.

ვიბორგი, როგორც სამხრეთ ფინეთის ერთ-ერთი საგაჭრო - სამრეწველო ცენტრი, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ფინლანდიისა და რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. ვიბორგზე უდიდეს გავლენა მოახდინა სოციალისტური რევოლუციის აკვის - პეტერბურგის - სიახლოვენ და მათ შორის არსებულმა ურთიერთობამ. ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის გარიუბაზე ვიბორგ უკვე წარმოადგნდა უდიდეს პუნქტს არალეგალური სოციალ - დემოკრატიული ლიტერატურის შესახად. ვიბორგი იყო აგრეთვე იარაღის შე-

სასყიდი ბაზა რუსეთის რევოლუციური ორგანიზაციებისათვის.

1906 წლის გაზაფხულზე ვიბორგის რაიონში რამდენმე ხანს ცხოვრობდა ცლადიმერი ილიას-ძე ლენინი. 1906-1907 წლების განმავლობაში ქ. ვიბორგში არალეგალურად იტექლებოდა ბოლშევიკური გაზეთი „პროლეტარი“, ლენინის რედაქციით. 1917 წლის რევოლუციის პერიოდში ვიბორგში მძლავრი ბოლშევიკური პარტიული ორგანიზაცია არსებობდა; დიდი როლი ითამაშა ვიბორგმა აგრეთვე ფინეთში წარმოებული სამოქალაქო ომის დროს (1918 წლის იანვარ—მაისი). 1918 წლის იანვარში ვიბორგში მოხდა რევოლუციური ორგანიზაციების წინააღმდეგ კარელიის ოქტორგარდიელთა—შუკურორელთა გამოსვლა, რამაც დასაბამი მისცა სამოქალაქო მისი დაწყებას. 1918 წელს მცირე ხანს (აპრილი—მაისი) ვიბორგში იმყოფებოდა ფინლანდიის რევოლუციური—მუშათა მთავრობა. რევოლუციური მოძრაობის ჩახშობისა და ბურუჟაზული ძალაუფლების აღდგენი შეძლევ ფინეთის მთავრობის მთელი რიგი წლების განმავლობაში სსრ კავშირის მიმართ მტრული პოლიტიკა ეკავა. როგორც ფინეთში წარმოებულმა სამოარმა მოქმედებამ დაგვანახვა, ფინეთი, და უპირველეს ყოვლისა კარელიის ყელი, 1939 წლისათვის გადაქცეული იყო ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო პლაცარმად საბჭოთა კავშირზე, ლენინგრადზე თავდასხმისათვის.

ვიბორგის მახლობლად იწყებოდა ე. წ. „მანერჰემის ხაზი“, რომელიც აგებული იყო უცხოელი სპეციალისტების მიერ „მაუნის ხაზისა“ და „ზიგზაგიდის ხაზის“ მსგავსად. „მანერჰემის ხაზი“ - სიმაგრეთა მთელი სისტემა— მიუვალად ითვლებოდა. მთელი კარელიის ყელზე, 50—60 კილომეტრის სიგრძეზე, თეთრმა ფინელებმა ააგეს რეინა—ბეტონის მრავალი მძლავრი სამხედრო სიმგრე, არტილერიითა და ტყებიამზრდებებით შეიარაღებული. მაგრამ ბრძოლებში ნაცადმა წითელმა არმიამ გაანადგურა „მანერჰემის ხაზი“, ფინეთის სამხედრო პლაცარმი. წითელმა არმიამ ერთხელ კიდევ დამტკიცა, რომ იგი მსოფლიო პროლეტარიატის სამშობლოს, საბჭოთა სოციალისტური კავშირის, ერთგული დარაჯია.





# აფო გაბუნია- ცაგარებისა.

ნიკო ჭავარე

რესპ. დამს. არტისტი

სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მულმიგი ქართული დასის დაარსებისას ნატა გაბუნიაც მიიწვიეს დასში. ახალგაზრდა ნატამ სიხარულით მიიღო მიწვევა და მულმიგი დასის შემადგენლობაში შევიდა...

მან თავიდანვე მიიქცია ყველას ყურაოლება. თითქმის ყოველ ახალ წარმოდგინაში სულ ახალ-ახალი წარმატება ჰქონდა. მაყურებლები აღტაცებულნი იყვნენ მისი მოხდენილი ბუნებრივი თამაშით, მშვინიერი ხმით.

ნატა გაბუნია ასრულებდა სახასიათო როლებს კომიკური განხრით. იგი თითქმის ყოველთვის იყო შესანიშნავი მსახიობის ვასო აბაშიძის პარტნიორი.

მე ბეგრ როლში მახსოვს იგი, მაგრამ არ დამავიწყდება მისი ფროშარი ("დები უერალები") და ზეფორინა ("ორი ჯიბგირი").

"ორ ჯიბგირში" დათრობის სცენა ჰქონდა, როგორ ითვრებოდა, რა სასწაულს ახდენდა! ასე გეგონებოდათ, მართლა მთერალიაო!

ან და ავილოთ მისი მუსოლის აქვსენ ზე გაზრდის „ხანუმა“. რა დიდებულ ფიგურას ჰქონდა აქ ნატა! გერავითარ შემთხვევაში ჟერ იფიქრებდით, ეს არტისტი და როლს თამაშობს, ისე ბუნებრივი იყო მისი თამაში! სცენაზე რომ გამოიყოდა, პარტნიორებსა და საზოგადოებაში პირდაპირ აღტაცებას იწვევდა.

ნიჭითან ერთად ნატა ძალიან კარგი ამხანაგიც იყო და ამიტომაც ყუელას უყვარდა; დაუზარელი, ბავშვიდით ყოველთვის ხალისიანი, გულწრფელად ემსახურებოდა მუშათა თეატრების საქმეს.

სწორედ საქველმოქმედო მიზნით გამართულ წარმოდგინაზე გაციყდა სოფელ ქარელში, სადაც „ხანუმაში“ თამაშობდა. საჩქაროდ ჩამოიყანეს თბილისში, მაგრამ ვერაფერი უშეველეს.

გადაიცვალა 1910 წლის 16 აგვისტოს.

1859 წლის 16 თებერვალს გორელი დიამბეგის მერია გაბუნიას ოჯახში დაიბარა ბავშვი. მშობლებმა თავიანთ შევილს ნატა უწოდეს.

პატარა ნატა ისე იზრდებოდა, როგორც იზრდებოდნენ საერთოდ მაშინდელი ბავშვები. იგი აღც სკოლაში დადიოდა, აღც საღმე სწავლობდა.

ბოლოს მშობლებმა მაინც ითქიქეს არამე ესწავლებინათ შევილისათვის. ამ მიზნით თორმეტი წლის ბავშვი მიაბარეს გორეში მცხოვრები ერთხელთი რუსის ლუახში. მაგრამ სამითვის შემდეგ პატარა ნატა წავიდა ამ ოჯახიდან.

ეს იყო მთელი მისი სწავლა.

ნატა მერაბის ასული ისევ მშობლებთან დაბრუნდა და ჩვეულებრივ ცხოვრებას შეუდგა.

მაგრამ ერთხელ გორეში მოხდა არაჩვეულებრივი ამბავი, რომელმაც სულ სხვა გზაზე დაყენა ნატა გაბუნია. ქალაქში სცენის მოყვარეებმა შემთხვევით გამართეს სალამო — წარმოდგენა, წარმოდგენაში ახალგაზრდა ნატასაც მიალებინეს მონაწილეობა.

ამ სალამოს ესწრებოდა ცნობილი დრამატურგის გიორგი ერისთავის შეილიდავითი, რომელმაც დიდი ამგი დასდო მულმიგი ქართული დასის დაარსებას. დავითს ძალიან მოეწონა ნატა გაბუნიას თამაში.

# პიონერი

**№ 4**

„ПИОНЕРИ“

Журнал Центр. Комитета ЛКСМ Гр. и Наркомпроса Грузии (на грузинском языке).

Издательство „Коммунисти“. Адрес редакции: Тбилиси, Грибоедова, 34. Тел. 3—02—61.

გამომცემლობა „კომუნისტი“. რედაქციის მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ., № 34. ტელ. 3-02-61.

შ ი ნ ა რ ი

- |   |     |
|---|-----|
| 1. საუბარი წაკითხულზე—ნაწილები ნ. ვერეტენიკოვის<br>წიგნიდან „ვალიდია ულანოვი“ . . . . . | 83. |
| 2. სანდრო შლენტი—მერცხლის ბუდე ბელადის საზღვი<br>(ლექსი) . . . . .                      | 3   |
| 3. ვიორგი კაჭახიძე—მტკვარი (ლექსი) . . . . .  | 4   |
| 4. ი. გრიშაშვილი—ავეტიკ ისაკიანს (ლექსი) . . . . .                                      | 4   |
| 5. ჩანა ხაზიური—ცუკას კუკულა (მოთხრობა) . . . . .                                       | 5   |
| 6. ოემშრაზ ჯანგულაშვილი—როგორ არ ამღერ-<br>დები! (ლექსი) . . . . .                      | 6   |
| 7. შაქრო ნავთლულები—მეფუტკრის დღიურიდან<br>(ლექსი) . . . . .                            | 7   |

- |  |                    |
|--|--------------------|
| 8. ნორჩ ავტორთა შემოქმედება . . . . .                            | 8                  |
| 9. ევა ჩაკლიძი—მზადს ფისო (მთახრობა) . . . . .                   | 10                 |
| 10. ნიკოლოზ ჯაში—ვიბორგი (ნარკვევი) . . . . .                    | 12                 |
| 11. ნიკო გვარაძე—ნატო გაბუნია-ცაგარელისა (წე-<br>რილი) . . . . . | 15                 |
| 12. ლირსშესანიშავ თარილთა კალენდარი . . . . .                    | გარეკანის მე-2 83. |
| 13. ისინი გამოფენის კანდიდატები არიან . . . . .                  | გარეკანის მე-3 83. |
| 14. მსოფლიოს ცასებჯინები . . . . .                               | გარეკანის მე-4 83. |

შურნალი გაფორმებულია მხატვ. ფ. ჯაფოშვილისა და გ. გორდელაძის მიერ;  
გარეკანის მხატვრობა ეკუთვნის მხატ. გ. გორდელაძეს.

პასუხისმგებელი რედაქტორი—ა. რ. ღულარიძე

ტირაჟი 10.000 ხელმოწ. დასაბ. 7/V-41 წ.

ფ. 20000 ანაწ. ზომა  $8\frac{1}{4} \times 12 = 75.200$

სასტამბი ფორმ. რაოდ. 1.

სააგრესო ფორმა 2.


გამომც. № 24.

სტ. შეკვეთა 530.

ლ. პ. ბ ე რ ი ა ს სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ., № 28.



## ისინი გამოვენის კანიგრაზები აჩინ.



შარშან ბეტო ნორჩი ნატურალისტი მონაწილეობდა ზუგდიდის რაიონიდან სრულიაღ-საჟავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. მათი ნამოქმედარი მნახველთა საერთო ყურდლებას იპყრობდა, საერთო მოწონებას იმსახურებდა.

წელს უფრო მეტი გაცხოველებით ემზადებიან ზუგდიდის რაიონის პიონერ-მოსწავლეები გამოფენისათვის, ვინ რას აკეთებს და ვინ რას.

სოფელ ჭეკალუაშის საბაკშვილ სახლის პიონერებმა

ნინო მესხმა და ნოე კვიკვინიაშ შესანიშნავი კურდლელი აღზარდეს. ორიოდე თვის წინ საბაკშვილ სახლის ნატურალისტთა სადგურში ერთ-ერთმა დედა-კურდლელმა მოიგო ბაქიები.

— მოდი, ნოე, — უთხრა მაშინ ნინო მესხმა ნოე კვიკვინიას, — ავიყვანოთ ერთი ბაქია, განსაკუთრებით ვკვებოთ, კარგად მოვუაროთ და ლავაკვირდეთ, რა გაელენას მოახდენს შესზე კარგი მოვლა.

იმ დღიდან ნინომ და ნოემ განსაკუთრებული მზრუნველობა დაიწყეს ბაჭიაზე: აძლევდნენ ნაირნაირ საჭმელებს, ასმევდნენ ანკარა წყალს, ხშირ ხშირად უსუფოავებდნენ ბინას... სულ მალე დაეტყო პატივი ბაჭიას, უფრო დიდი და ლამაზი გახდა, ვიდრე მისი და-ძმანი. თვენაზეგრის ბაჭია უკვე სამნახევარ კილოგრამი იწონიდა...

ნინო მესხი და ნოე კვიკვინია ფრიადოსნები არიან. ნინო მეექვსე კლასში სწავლობს, ნოე კი მესამეში.

\* \*

\* \*

მერი დადანი, ჭიგვიდის პირველი სრული სა-შეალო სკოლის მშევრი ვლადი ვლადის დამაკავშირი იყო გამოთვალისაზე. იგი ასლაც გამოიყენას კანიგრაცია.

რა გავკეთა მერიმ ასეთი?

მას ძრეს სამა-ოთხი წლის ლიმნი, ამ ლიმნის თვითონ უჯლის, მუდამ თვითონ გაცვია და-ლენი თვეს. ლიმნინი ყვავის და მუდამ მსხმოიარა. მისმა ლიმნიჩა მესამე წელს 270 ცალი ნა-ყავი მოისხა, ხოლო მესამე წელის 390 ცალი.



\* \*

\* \*

სოდელ ჭისასკარში, და საერთო გუგგიდის რაიონშიც, მუჯრი იღებს გოგონა ჭირანდიას. ხელა გოგონა ჭირანდია ჭისასკარის სრული სამუშაო სკოლის მერკე კლასის მთხელია.


გოგონამ სახლი გაითქა როგორც ჩაის შე-სანიშანამა მურყენავით. გასული წლის ჭისასკარის დაწეს იგი სამუშაო თობმც კილოგრამი ჩაის კრიული. სულ მთხელ კიბინში 3.720 კილოგრამი ჩაის მეჩანი დოთოლი მოკრია.

გოგონა ჭირანდია ამავე ღრუს ფრიადოსნი მო-სტაციის



## მსოფლიოს ცასებათინიერი

ვაკი 1 გვ6  
1828



თქვენ თვალში დიაგრამულ გადარჩით ზოგადი ჭარბობის მთავრობის მსოფლიოში არსებული ცველაზე მაღალი ნაგებობას, რომელიც სამართლიანად იმსახურებს ცასებათინიერ სახელს.

რამდენიმე წლის შინათ ასეთებად მსოფლიოში ცენტრილი იყო მნიშვნელოვანი მდგრადი და მარტივი, პარიზის ეიფელის კოშკი, ეზიპიტის ხეობის პირამიდა, ყოველი ისეტის სობორონი და გვივერნე და დის სამრეკლო მოსკოვში.

მათ რიცხვს მიერატა საგანობრივის სასახლე, რომელიც შეცლება შითელ მოსკოვში და რომელიც უკვე გაუსწოო უკელა დღესდღ არსებულ ცასებათინიერ არა მარტო თავისი სიმაღლით, არამედ თავისი სილამაზითა და სიღიღითაც.

